საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№496 2016 წლის 21 მარტი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების შპს „ე.ჯ.სი. ჯორჯიანისათვის“ იჯარის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, რომ შპს „ე.ჯ.სი. ჯორჯიანს“ (ს/კ: №404464343) იჯარის უფლებით გადასცეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ამ განკარგულების №1 დანართში მითითებული 321.7484 ჰა სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთები, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 25 (ოცდახუთი) წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირით - 85 300 (ოთხმოცდახუთი ათას სამასი) ლარად.

2. ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ნივთების იჯარის უფლებით გადაცემის პირობებად განისაზღვროს:

ა) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 2 (ორი) წლის ვადაში, პირადად ან/და მესამე პირ(ებ)ის მეშვეობით, ამ განკარგულების

პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალწლიანი ხე-მცენარეების გაშენება შემდეგი გრაფიკის მიხედვით:

ა.ა) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 12 (თორმეტი) თვის ვადაში არანაკლებ 200 ჰა ფართობზე;

ა.ბ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 24 (ოცდაოთხი) თვის ვადაში არანაკლებ 270 ჰა ფართობზე;

ბ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 2 (ორი) წლის ვადაში, პირადად ან/და მესამე პირ(ებ)ის მეშვეობით, ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების მიზნით, არანაკლებ 2 505 000 (ორი მილიონ ხუთას ხუთი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელება შემდეგი გრაფიკის მიხედვით:

ბ.ა) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 12 (თორმეტი) თვის ვადაში არანაკლებ 1 755 000 (ერთი მილიონ შვიდას ორმოცდათხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელება;

ბ.ბ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 24 (ოცდაოთხი) თვის ვადაში არანაკლებ 2 505 000 (ორი მილიონ ხუთას ხუთი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელება;

გ) ყოველი წლის დეკემბრის თვეში, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გადაცემული უძრავი ნივთების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის ინფორმაციის წარდგენა ამ განკარგულების №2 დანართის შესაბამისად;

დ) ამ განკარგულების პირველი პუნქტით გადაცემულ უძრავ ნივთებზე, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 12 (თორმეტი) თვის ვადაში და შემდგომ ყოველ 5 (ხუთი) წელიწადში ერთხელ, ხოლო თუ იჯარის ვადის გასვლამდე დარჩენილია 5 (ხუთი) წელიწადი - იჯარის ვადის ამოწურვამდე ერთი თვით ადრე, ნიადაგის ნაყოფიერებისა და ხარისხის შენარჩუნება-გაუმჯობესების გამოკვლევის მიზნით, ნიადაგის ანალიზის

დამადასტურებელი დოკუმენტის საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის წარდგენა.

3. ამ განკარგულების მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად (მათ შორის, ამ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობისათვის შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის უზრუნველსაყოფად), შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე, შპს „ე.ჯ.სი. ჯორჯიანმა“ წარადგინოს ამავე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინვესტიციის არანაკლებ 5%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადაც ამავე ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადას უნდა აღემატებოდეს არანაკლებ 4 (ოთხი) თვით.

4. ამ განკარგულების შესრულების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**

				დანართი N1	
N	მისამართი	დანიშნულება	კატეგორია	ფართი (კვ.მ.)	საკადასტრო კოდი
1	ქალაქი ლანჩხუთი	სასოფლო-სამეურნეო	სახნავი	180015	27.06.41.002
2	ქალაქი ლანჩხუთი	სასოფლო-სამეურნეო	სახნავი	82636	27.06.41.003
3	ქალაქი ლანჩხუთი	სასოფლო-სამეურნეო	სახნავი	130080	27.06.41.004
4	ქალაქი ლანჩხუთი	სასოფლო-სამეურნეო	სახნავი	250268	27.06.41.005
5	ქალაქი ლანჩხუთი	სასოფლო-სამეურნეო	სახნავი	228689	27.06.41.006
6	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი მამათი	სასოფლო-სამეურნეო	სახნავი	85302	27.36.41.001
7	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი მამათი	სასოფლო-სამეურნეო	სახნავი	35507	27.36.41.002
8	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი მამათი	სასოფლო-სამეურნეო	სახნავი	104299	27.36.41.003
9	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი მამათი	სასოფლო-სამეურნეო	სახნავი	145011	27.36.41.004
10	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი მამათი	სასოფლო-სამეურნეო	სახნავი	177467	27.36.41.006
11	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი მამათი	სასოფლო-სამეურნეო	სახნავი	34681	27.36.41.007

12	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი მამათი	სასოფლო-სამეურნეო	სახნავი	74077	27.36.41.008
13	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი მამათი	სასოფლო-სამეურნეო	სახნავი	134595	27.36.41.009
14	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი მამათი	სასოფლო-სამეურნეო	სახნავი	276644	27.36.41.011
15	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი მამათი	სასოფლო-სამეურნეო	სახნავი	10039	27.36.41.012
16	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი მამათი	სასოფლო-სამეურნეო	სახნავი	123888	27.36.41.014
17	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი მამათი	სასოფლო-სამეურნეო	სახნავი	28342	27.36.41.015
18	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, მამათის მიწები	სასოფლო-სამეურნეო	სახნავი	22326	27.36.41.016
19	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი აცანა	სასოფლო-სამეურნეო	სახნავი	171662	27.38.41.002
20	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი აცანა	სასოფლო-სამეურნეო	სახნავი	107538	27.38.41.003
21	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი აცანა	სასოფლო-სამეურნეო	სახნავი	30114	27.38.41.004

22	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი აცანა	სასოფლო-სამეურნეო	სახნავი	412983	27.38.41.005
23	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი აცანა	სასოფლო-სამეურნეო	სახნავი	101853	27.38.41.007
24	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი აცანა	სასოფლო-სამეურნეო	სახნავი	99376	27.38.41.008
25	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი აცანა	სასოფლო-სამეურნეო	სახნავი	9720	27.38.41.009
26	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი აცანა	სასოფლო-სამეურნეო	სახნავი	31035	27.38.41.013
27	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი აცანა	სასოფლო-სამეურნეო	სახნავი	11244	27.38.41.014
28	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი აცანა	სასოფლო-სამეურნეო	სახნავი	31484	27.38.41.015
29	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი აცანა	სასოფლო-სამეურნეო	სახნავი	20464	27.38.41.017
30	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი აცანა	სასოფლო-სამეურნეო	სახნავი	40520	27.38.41.019
31	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი აცანა	სასოფლო-სამეურნეო	სახნავი	25625	27.38.41.020
			ჯამში:	321.7484 ჰა	

დანართი #2

ინფორმაცია

საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ფართობზე
პირველადი პროდუქციის წარმოება/რეალიზაცია

ფიზიკური/იურიდიული პირი	
რეგისტრაციის თარიღი/საიდენტიფიკაციო კოდი	
იურიდიული მისამართი	
საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული ს/ს სავარგული სულ (მიუთითეთ ფართობი, სარწყავი/ურწყავი), მათ შორის:	
ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობი და წარმოებული პროდუქციის რაოდენობა (კულტურების და სახეობების მიხედვით) --- წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია (მიუთითეთ რაოდენობა და გასაღების ბაზარი) ---	
მრავალწლოვანი კულტურების წარმოება (კულტურების და ჯიშების მიხედვით) --- წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია (მიუთითეთ რაოდენობა და გასაღების ბაზარი) ---	

სილოსის და ცხოველთა საკვების წარმოება (ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურები/ბალახები) ნათესი ფართობები და წარმოება

წარმოებული პროდუქციის მოხმარება/რეალიზაცია (მიუთითეთ რაოდენობა და გასაღების ბაზარი)

საძოვარი (მიუთითეთ ფართობი და პირუტყვის (მსხვილფეხა (მათ შორის ფური)/წვრილფეხა) რაოდენობა)

წარმოებული პროდუქციის წარმოება/რეალიზაცია (მიუთითეთ რაოდენობა პროდუქციის სახეობების მიხედვით (მათ შორის ცოცხალი პირუტყვი) და გასაღების ბაზარი)

რა სახის ღონისძიებები გაატარეთ ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით?

გაიარეთ თუ არა კონსულტაციები? (ვისთან)